საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/31 **22/12/2020**

რეცენზია

კლინიკური პრაქტიკის სტანდარტის/პროტოკოლის თაობაზე

„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა“

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (COVID-19) დღესდღეობით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ბოლო ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში სულ დადასტურებულია COVID-19-ის 70 მილიონზე მეტი შემთხვევა, მათგან 1.5 მილიონზე მეტი ავადმყოფი მოკვდა.

საქართველოში დღესდღეობით სულ დადასტურებულია COVID-19-ის 212 ათასზე მეტი შემთხვევა და გარდაიცვალა 2 ათასზე მეტი ავადმყოფი.

ა.წ. 28 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით (01-369/ო) დამტკიცებულ იქნა პროფესორ თენგიზ ცერცვაძის ხელმძღვანელობით შემუშავებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი).

აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის (NIH), ამერიკის ინფექციურ დაავადებათა საზოგადოების (IDSA), აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის (CDC), ჯანმო-ს და სხვა ინსტიტუტების COVID-19-ის კლინიკური მართვის განახლებული გაიდლაინების/პროტოკოლების და რეკომენდაციების საფუძველზე, ზემოთაღნიშნულ გაიდლაინში, ავტორების მიერ განხორციელდა ცვლილებები.

გაიდლაინი დიდ დახმარებას გაუწევს ინფექციონისტებს, რეანიმატოლოგებს, ოჯახის ექიმებს და ასევე სხვა პროფილის ექიმებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე პროფესორ თენგიზ ცერცვაძის

მიერ წარმოდგენილ „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა მოზრდილ ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში“ გაიდლაინის განახლებულ ვერსიას.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი